



6355/4-15/21 2 23062021

6355/4-15/21

23-06-2021

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს
ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო წარმოადგენს ევროპის საბჭოს „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციის“ და „სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის მხარეს. 2015 წლის 2-3 დეკემბერს, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ანტიდოპინგური კონვენციის მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საკითხი და დაადგინა, რომ საქართველო მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს კონვენციის მოთხოვნებს. ვიზიტის შემდგომ, ჯგუფმა დაამტკიცა და გამოაქვეყნა საქართველოში ჩატარებული მონიტორინგის ანგარიში (T-DO(2016)40, Strasbourg, 2 November 2016), რომელშიც ასახულია ქართული მხარის მიერ შესასრულებელი ძირითადი რეკომენდაციების ჩამონათვალი.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია კონვენციის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების სტატუსის და სამინისტროს მიერ ქვემოთ ჩამოთვლილი მიმართულებებით განხორციელებული საქმიანობის შესახებ:

1. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს ეროვნული პოლიტიკა სპორტში დოპინგის აღმოფხვრისთვის, განსაზღვროს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც დაარეგულირებს ყველა დოპინგსაწინააღმდეგო ასპექტს, მათ შორის, (ა) უფლებამოსილი ორგანო, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის და (ბ) პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეთა როლი და ვალდებულებები;
2. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეიტანოს ცვლილებები „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონში ან მიიღოს ყოვლისმომცველი დოპინგსაწინააღმდეგო კანონი, რომელიც განსაზღვრავს ყოვლისმომცველ და ამომწურავ განმარტებას სპორტში დოპინგის და სპორტსმენის შესახებ, ასევე მოახდენს მითითებას დოპინგის ნივთიერებათა აკრძალული ფარმაკოლოგიური კლასების და დოპინგის მეთოდების სიის შესახებ. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გამოაქვეყნოს დოპინგის ნივთიერებათა აკრძალული ფარმაკოლოგიური კლასების და დოპინგის მეთოდების შესახებ მოქმედი სია საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში;

3. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლისთვის უფლებამოსილი ორგანოს ეროვნულ დონეზე მიენიჭოს სამართლებრივი სტატუსი და ფინანსური მხარდაჭერა, რათა თავისი როლი შეასრულოს სათანადოდ, მათ შორის, როგორც მინიმუმ აღასრულოს დოპინგ საწინააღმდეგო წესები სპორტის ყველა სახეობასთან მიმართებით, ჰქონდეს მუდმივი დაფინანსება და იყოს დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში;

4. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე ინტერესთა კონფლიქტისგან თავისუფალი უფლებამოსილი ორგანო;

5. სამართალდამცავი და საბაჟო ორგანოები თავიანთი საქმიანობის სფეროში უნდა ითვალისწინებდნენ დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, განსაკუთრებით, დოპინგის ნივთიერებებზე და მეთოდებზე ხელმისაწვდომობის კონტროლს და უნდა თანამშრომლობდნენ და კოორდინირებულად მოქმედებდნენ კომპეტენტურ ორგანოებთან, მათ შორის ინფორმაციის გაზიარების კუთხით;

6. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს ყოვლისმომცველი საკანონმდებლო ღონისძიებები, რათა აკონტროლოს დოპინგის ნივთიერებებით ვაჭრობა;

7. საქართველოს ანტი-დოპინგურმა სააგენტომ უნდა შეიმუშაოს დოპინგის შემოწმების პროგრამა, რათა მაქსიმალურად გაზარდოს იმ სპორტსმენების სანქციების შანსები, რომლებიც შესაძლოა იღებდნენ აკრძალულ ნივთიერებებს ან მეთოდებს;

8. სპორტზე პასუხისმგებელმა სამინისტრომ უნდა განიხილოს დოპინგსაწინააღმდეგო ეროვნული დისციპლინარული კოლეგიისა და ეროვნული დოპინგსაწინააღმდეგო სააპელაციო კოლეგიის ჩამოყალიბების საკითხი, რომელთა იურისდიქციაც გავრცელდება საქართველოში მოქმედ სპორტის ყველა სახეობასთან მიმართებით და უზრუნველყოს, რომ კოლეგიები მოქმედებენ დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე ინტერესთა კონფლიქტისგან თავისუფლად, რაც დაცული იქნება კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტით.

გთხოვთ ასევე, რომ მოგვაწოდოთ ინფორმაცია 2015-2020 წლებში:

ა) სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტოსთვის (შემდგომში "სეას") გამოყოფილი სახელმწიფო ფინანსური რესურსის (წლების მიხედვით) შესახებ;

ბ) სახელმწიფო მხარდაჭერის ფარგლებში სეას მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო პროგრამის და ჩატარებული ტესტირების ტიპისა და რაოდენობის (წლებისა და სპორტული სახეობების მიხედვით) შესახებ;

გ) 2015-2020 წლებში სეას მიერ ანტიდოპინგური წესების დარღვევის გამოვლენილი ფაქტებისა და მოხდენილი რეაგირების შესახებ (წლების, სპორტის სახეობის, დაღვეული წესის, დამრღვევი პირის სქესისა და გამოტანილი სანქციის მითითებით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ ყაველაშვილი





№ 00027080



08/10/2021

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ მიხეილ ყაველაშვილს

ბატონო მიხეილ,

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, წარმოგიდგენთ პასუხს თქვენი წერილით (№6355/4-15/21, 23/06/2021) დასმულ კითხვებზე.

ევროპის საბჭოს მონიტორინგის ანგარიშით (T-DO(2016)40) გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ შეკითხვისა და მისი 1-8 ქვეპუნქტების პასუხად, წარმოგიდგენთ სამინისტროსა და საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს ერთობლივი საქმიანობის ანგარიშს 2017-2021 წლებისათვის, დანართის სახით (№1). აქვე, გაცნობებთ, რომ აღნიშნული ანგარიში ასევე წარედგინა ევროპის საბჭოს მონიტორინგის ჯგუფს (Advisory Group on Compliance (T-DO COMP) 2020 წლის 9 სექტემბერს, რაც ჯგუფის მიერ დადებითად იქნა შეფასებული.

ასევე, პუნქტებად დასმულ კითხვებთან მიმართებაში, გაცნობებთ შემდეგს:

ა) სამინისტროს მიერ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოსათვის წლების მიხედვით გადაცემული დაფინანსება:

- 2015 წელი _ 141,844.19 ლარი
- 2016 წელი _ 204,842.72 ლარი
- 2017 წელი _ 165,253.00 ლარი
- 2018 წელი _ 300,523.88 ლარი
- 2019 წელი _ 333,295.40 ლარი
- 2020 წელი _ 276,713.00 ლარი

"ბ" და "გ" პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის პასუხად, გაცნობებთ, რომ საგანმანათლებლო პროგრამების, ისევე როგორც დოპინგ-ტესტების ჩატარება, შემდგომი რეაგირება და მონაცემთა დამუშავება წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, "ბ" პუნქტის პასუხად, წარმოგიდგენთ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტოს საქმიანობის ანგარიშებს 2017-2020 წლებისათვის

(დანართი №2). ანგარიშები შექმნილია ინგლისურ ენაზე, მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ასევე, გიგზავნით 2015 და 2016 წლების მონაცემებს ჩატარებული ტესტირებების შესახებ (დანართი №2).

"გ" პუნქტის პასუხად, წარმოგიდგენთ დანართს (№3), დოპინგის გამოყენების გამო, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სანქცირებული ქართველი სპორტსმენების შესახებ, სადაც, ასევე მოცემულია მოკლე მონაცემები საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამებისა და მეთოდების შესახებ.

დამატებით, გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ საქართველოს ანტი-დოპინგური სააგენტო წარმოადგენს სამინისტროსა და მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიერ აღიარებულ ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საქართველოში ანტი-დოპინგური საქმიანობის განხორციელების ექსკლუზიური უფლებამოსილება.

პატივისცემით,

საქართველოს კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
გიორგაძე სოსო

